საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030622795153020

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/1280 **14 / აპრილი / 2020 წ.**

შპს „ გეოდსდ“-ს დირექტორს
ბატონ დავით დოხნაძეს

ბატონო დავით,

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განხილულ იქნა თქვენი განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტები ესპანეთში, კომპანია "KLORMED SL"-ის მიერ წარმოებული სადეზინფექციო საშუალება **„Ymed Forte“-ის** დარეგისტრირების შესახებ.

1. ინფორმაცია სადეზინფექციო საშუალების გამოყენების სფეროს, წესებისა და პირობების შესახებ.
2. მწარმოებელი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წარმოშობისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები.
3. დასკვნა საშუალების მადეზინფიცირებელი ეფექტის შესახებ.

ასევე გაცნობებთ, რომ ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნული კოლექციის (საცავი) ლაბორატორიაში, თქვენი განცხადების საფუძველზე, შემოწმებულ იქნა სადეზინფექციო საშუალება „Ymed Forte“-ს მადეზინფიცირებელი ეფექტი S.aureus ATCC 25923, P.aeruginosa ATCC 27853, Enrerococcus hirae ATCC 10541, B.subtilis ATCC 6633 და B.cereus ATCC 4342) შტამებით. სადეზინფექციო საშუალება ანოტაციებში მითითებული ექსპოზიციით უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული მიკრობების გაუვნებლობას და შესაძლებელია მისი გამოყენება მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, „Ymed Forte“ წარმოადგენს თანამედროვე მულტიფუნქციურ სადეზინფექციო საშუალებას, რომელიც გამოიყენება კრიტიკული (სამედიცინო, სტომატოლოგიური, ენდოსკოპები, ლაბორატორიული და სხვა), ნახევრადკრიტიკული და არაკრიტიკული ჯგუფის სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და აღჭურვილობის, ზედაპირების და თეთრეულის რეცხვის, დეზინფექციისა და სტერილიზაციისათვის.

გამოყენების მეთოდი

„Ymed Forte“ თეთრი ფერის აბებია, რომელიც იხსნება წყალში. გამოყენების წინ მზადდება შუშის, ემალის ან პლასტმასის ჭურჭელში ტაბლეტები იხსნება წყალში. ძირითადი მოქმედი ნივთიერებაა ნატრიუმის დიქლოროციანურატი, რომელშიც თავისუფალი ქლორის შემცველობა არის 60%-მდე, ემატება შეთავსებადი სარეცხი საშუალება. ეს არის მაღალი შესაძლებლობის მქონე კომბინაცია, დეზინფექტანტისა და სარეცხი საშუალების ერთ აბში. არ ტოვებს სუნს, არ აზიანებს კანს.

მწარმოებლის მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად. ხელსაწყო-იარაღების დეზინფექციას აწარმოებენ ხსნარში ჩაძირვით, ხსნარში ათავსებენ დაშლილ მდგომარეობაში. დეზინფექციის დროს არხები და ღრუები უნდა იყოს სავსე ხსნარით (ჰაერის საცობების გარეშე). სადეზინფექციო ხსნარი ზედაპირს უნდა ფარავდეს არა ნაკლებ 2 სმ-სა. სამუშაო ხსნარის რაოდენობა გამოითვლება სამუშაოს მოცულობისა და ცალკეული სამედიცინო დანიშნულების საგნებისა ან კომპლექტების რაოდენობის საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ საგანი მთლიანად უნდა დაიფაროს და მოთავსდეს სადეზინფექციო ხსნარში. ხსნარით კრიტიკული და ნახევრადკრიტიკული ჯგუფის ობიექტების სამედიცინო ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების დეზინფექციას, ენდოსკოპების მაღალი დონის დეზინფექციისა და სტერილიზაციის რეჟიმები მითითებულია მწარმოებლის მეთოდურ რეკომენდაციებში.

სამუშაო ხსნარის %	სამუშაო ხსნარი (ppm)	გამოყენება	აბების რაოდენობა	წყლის რაოდენობა (ლიტრი)
0,03	300	ინსტრუმენტების რეცხვა	1	5

0,015	150	სუფთა ზედაპირის მქონე ინსტრუმენტებისა და ზედაპირების დეზინფექცია	1	10,0
0,1	1000	უტილიზაციის კონტეინერებში გამოსაყენებლად	1	3
0,15	1500	ქიმიური სტერილიზაცია	1	1
0,3	3000	დაჩქარებული სტერილიზაცია	1	0,5

საშუალებას ახასიათებს მიკროორგანიზმებზე ზემოქმედების უნიკალური შესაძლებლობები. არის ნაკლებქაფიანი და გამოირჩევა წმენდისა და რეცხვის დიდი ეფექტურობით. მომზადებული სამუშაო ხსნარი ვარგისია 72 საათის განმავლობაში, ხოლო კონტეინერში ინახება აბები 3 წლის განმავლობაში.

უსაფრთხოების წესები

„Ymed Forte“ სადეზინფექციო ხსნარის გამოყენებისას აუცილებელია პერსონალმა გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დაიცვას უსაფრთხოების წესები. არ დაუშვან ხსნარის ლორწოვან გარსებზე შემთხვევითი მოხვედრა.

შეფუთვა და ეტიკეტირება, შენახვის ვადები და პირობები

სადეზინფექციო საშუალება დაფასოებულია ქარხნული წესით, ინახება მწარმოებლის მიერ შეფუთვით სითბოსა და აალების, სინათლისათვის მიუწვდომელ ადგილზე.

შემომტანი

შპს „ გეოდსდ“, ვაშლიჯვარი, მე-3 ზონა, მე-7 კორპუსი, ბ#42, თბილისი, 0159, საქართველო.
ტელ:+995 577 11 26 88; +995599236330;
ელ-ფოსტა: klormedgeorgia@gmail.com

მწარმოებელი

კომპანია “KLORMED SL” ქ. ალიკანტე , ესპანეთი.

ჰიგიენური დასკვნა

„Ymed Forte“ წარმოადგენს თანამედროვე მულტიფუნქციურ სადეზინფექციო საშუალებას, რომელიც გამოიყენება კრიტიკული (სამედიცინო,სტომატოლოგიური, ენდოსკოპები, ლაბორატორიული და სხვა), ნახევრადკრიტიკული და არაკრიტიკული ჯგუფის სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და აღჭურვილობის, ზედაპირების და თეთრეულის რეცხვის, დეზინფექციისა და სტერილიზაციისათვის სამედიცინო დაწესებულელებსა და საგანმანათლებლო, კომუნალური დანიშნულების ობიექტებში მწამოებლის მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპვასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოადგილე ირმა ხონელიძე